საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახური

## ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი № 003148

11 მაისი 2022 წ.

ქ. ქუთაისი

შედგენის ადგილი (დასახლებული პუნქტი)

1. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურის შრომის პირობების ზედამხედველობის დეპარტამენტის იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის, სამეგრელოს, გურიის მთავარი სპეციალისტი (შრომის ინსპექტორი)

ოქმის შემდგენის თანამდებობა, სახელი და გვარი

2. სამართალდამრღვევი: შ.პ.ს. „ხიმი" ს/კ 212853606 იურიდიული/ფაქტიური მისამართი: ქ. ქუთაისი ახალგაზრდობის №19 დასახლება

სახელი, გვარი, პირადი №, მისამართი ფიზიკური/რეგისტრაციის მონაცემი, იურიდიული პირის შემთხვევაში – დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი, მისამართი ფაქტობრივი/რეგისტრაციის მონაცემი

3. მოწმე(ები)/დაზარალებულ(ები) (არსებობის შემთხვევაში):

სახელი, გვარი, მისამართი

4. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი, დრო და არსი:

2022 წლის 21 თებერვალს ინსპექტირება განხორციელდა შ.პ.ს „ხიმი" ს/კ 212853606 მისამართი ქ. ქუთაისი ახალგაზრდობის №19 საქმიანობის ადგილზე. საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ" საფუძველზე ინსპექტირების შედეგად, რომ დარღვეულია საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ" დაირღვა შემდეგი მოთხოვნები: მუხლ. 7, პუნქ. 1-7. მუხლ 6 პუნქ. 1 ა-ვ „ქვეპუნქტები", მუხლი 5 პუნქტი 2,3. მუხლი 5 პუნქტი 1 „ბ" ქვეპუნქტი, მუხლი 6 პუნქტი 2 „ზ" ქვეპუნქტი, მუხლი 5 პუნქტი 1 „ვ", „ზ" ქვეპუნქტი, მუხლი 8 პუნქტი 2, მუხლი 5 პუნქტი 9 მუხლი 6 პუნქტი 3 „ი" ქვეპუნქტი. მუხლი 6 პუნქტი 3 „დ" ქვეპუნქტი მუხლი 5 პუნქტი 1 „ა", „ბ" ქვეპუნქტი. მუხლი 5 პუნქტი 10

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 16 აგვისტოს ბრძანება №297/ნ „გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმების დამტკიცების შესახებ".

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილება №69 „მაღალი რისკის მქონე სამუშაოების ... ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ".

5. დარღვეულია: საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ" მუხლი 22 ნაწილი 1, მუხლი 23 ნაწილი 1

მუხლი, პუნქტი, ქვეპუნქტი

6. დარღვევის გამოსასწორებლად მიცემული ვადა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): 30 (ოცდაათი) დღე

7. სახდელის სახე, ოდენობა: გაფრთხილება (ლარი – ჯარიმის შემთხვევაში)

სიტყვიერად

8. დამრღვევის ახსნა-განმარტება:

9. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენისას დამრღვევს განემარტა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული მისი უფლებები და მოვალეობები.

10. ოქმის შემდგენელი: ___ /___ ___/

11. სამართალდამრღვევი: ___ /___ ___/

სახელი და გვარი

12. მოწმე: ___ /___ ___/

სახელი და გვარი ხელმოწერა

13. დაზარალებული: ___ /___ ___/

სახელი და გვარი ხელმოწერა

14. დოკუმენტები, რომლებიც ერთვის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს: შემოწმების მიმდინარე – დანართი №1

ოქმის გადამოწმებული ნაპოვნი ცნობები, ნამდები და ა.შ., დამრღვევის ახსნა-განმარტება ან მის მიერ წარმოდგენილი სხვა მასალები

15. შენიშვნა:

16. სამართალდამრღვევი პირის მიერ ხელმოწერაზე ან/და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ჩაბარებაზე უარის თქმის შესახებ აღნიშვნა:

დამკვეთი: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი - „შრომის ინსპექციის სამსახური."
დამამზადებელი: შპს კაბადონი +
ხემეხ-ს რეგისტრაციის № 11-5748

**შენიშვნა**

ოქმის მეორე მხარეს აღინიშნება:

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენისას დამრღვევს განემარტა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული მისი უფლებები და მოვალეობები: ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირის უფლება აქვს გაეცნოს საქმის მასალებს, მისცეს ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს მტკიცებულებანი, განაცხადოს შუამდგომლობანი, საქმის განხილვისას ისარგებლოს ადვოკატის იურიდიული დახმარებით; გამოვიდეს მშობლიურ ენაზე; თუ არ იცის მიმდინარე წარმოების ენა, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით. კანონმდებლობით დადგენილი 10 დღის ვადაში საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 272-ე მუხლით დადგენილი წესით გაასაჩივროს საქმის გამო მიღებული დადგენილება (გადაწყვეტილება) ოქმის შემდგენის ზემდგომ თანამდებობის პირთან (მის.: ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. №144), რომლის გადაწყვეტილება საჩივრდება რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში.

**გაფრთხილება!**

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, დამრღვევმა ჯარიმა ნებაყოფლობით უნდა გადაიხადოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ჩაბარებიდან (გაცნობიდან) 30 დღის განმავლობაში. აღნიშნულ ვადაში ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამართალდამრღვევს დაეკისრება საურავი დაკისრებული ჯარიმის ორმაგი ოდენობით. საურავის დაკისრებიდან 30 დღის ვადაში ჯარიმის ან/და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში განხორციელდება სახელმწიფო სანქციისა და დარიცხული საურავის გადახდის იძულებითი აღსრულება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

*დანართი №1*

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
სსიპ შრომის ინსპექციის სამსახური
მისამართი: თბილისი, თამარაშვილის ქ. 15ა.

მ ი თ ი თ ე ბ ა # 003148/ო

შედგენის თარიღი: 11.03.2022წ.

შრომის უსაფრთხოების ნორმების შემოწმების განმახორციელებელი სამსახური დამრღვევის მიმართ სახდელის სახედ გაფრთხილების და ჯარიმის გამოყენების შემთხვევაში გასცემს მითითებას გონივრული ვადაში გამოსწორების მიზნით (საქართველოს ორგანული კანონის „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ 18-ე მუხლის მე-2 პუნქტი);

ობიექტის დასახელება: შპს „რამი“ ს/კ 212853606.

დაწესებულების ხელმძღვანელი.

იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ.ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზ #19

ფაქტობრივი მისამართი: საქართველო, ქ.ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზ #19

ინსპექტირების ჩატარების საფუძველი: ბრძანება ნომერი № 09-65/მ. 0 /21 თებერვალი/ 2022 წ.

საკონტაქტო პირი:

შრომის უსაფრთხოების მენეჯერი/სამსახური: არ ჰყავს.

ეროვნული კლასიფიკატორები (NACE 2016):

C.22.19.0 რეზინის სხვა ნაწარმის წარმოება

C.25.11.0 ლითონის სამშენებლო კონსტრუქციების და ნაწილების წარმოება

მე-80 დადგენილების მიხედვით: მაღალი რისკის სექტორი

დასაქმებულთა რაოდენობა: სულ 9 პირი: ქალი -1 ; კაცი -8.

დასაქმებულთა წარმომადგენელი: არ ჰყავს დასაქმებულთა წარმომადგენელი

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის, იმერეთის რეგიონული სამმართველოს ინსპექტორების:

მიერ საქართველოს ორგანული კანონის „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ შესაბამისად, ქ. ქუთაისში, ახალგაზრდობის N 19-ში, შპს „რამი“ ს/კ 212853606.კუთვნილ ობიექტზე, 2022 წლის 21 თებერვლის განხორციელდა ინსპექტირება. ინსპექტირების პროცესში მოვახდინეთ დამსაქმებელთან და დასაქმებულებთან გასაუბრება, ობიექტის დათვალიერება და ზედაპირის ფოტო-ვიდეო გადაღება.

ინსპექტირების შედეგად გამოიკვეთა შრომის უსაფრთხოების ნორმების შემდეგი დარღვევები:

საწრმოს არ ყავს დამსაქმებლის მიერ დანიშნული/მოწვეული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელიც აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

„შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით განსაზღვრულია, რომ დამსაქმებელმა მუშაობის ყველა ეტაპზე ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების რისკის შესამცირებლად ან აღმოსაფხვრელად, საწარმოს ზომიდან და საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, მინისტრის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი წესის მიხედვით უნდა შეაფასოს ეს რისკი, უნდა განაახლოს რისკის შეფასების შესახებ დოკუმენტი და მიიღოს შესაბამისი ზომები შემდეგი საერთო პრინციპების საფუძველზე: იზრუნოს არსებული რისკების თავიდან აცილებაზე; შეაფასოს ის რისკები და საფრთხეები, რომელთა თავიდან აცილებაც შეუძლებელია; იზრუნოს საფრთხის შემცირებაზე, მათ შორის, მისი წყაროს აღმოფხვრაზე; თავისი შესაძლებლობის ფარგლებში, სამუშაოს სპეციფიკის გათვალისწინებით აანაცვლოს საფრთხის შემცველი ფაქტორები უსაფრთხო ან ნაკლებად საშიში ფაქტორებით და შეიმუშაოს თანამიმდევრული პრევენციული ღონისძიებების პოლიტიკა, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს საწარმოო გარემოსა და სამუშაო პროცესის თავისებურებებს. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 6 თებერვლის #80 დადგენილების „ეკონომიკური საქმიანობის პრიორიტეტული დარგების განსაზღვრის მეთოდებისა და რისკის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ" შესაბამისად რეზინის და ნაკეთობების წარმოება განეკუთვნება მაღალი რისკის შემცველ საქმიანობას და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 30 იანვრის№01-15/ნ ბრძანების „სამუშაო სივრცეში რისკის შეფასების წესის დამტკიცების თაობაზე" შესაბამისად რისკის შეფასების დოკუმენტის მონაცემების და შედეგების გადახედვა განახლება უნდა განხორციელდეს პერიოდულად, მაღალი რისკის სექტორებისთვის (მათ „რამი") – 30 კალენდარული დღის ვადაში;

დამსაქმებლის მიერ ინსპექტირების პროცესში ვერ იქნა წარმოდგენილი საფრთხეების იდენტიფიცირებისა და რისკების შეფასების დოკუმენტი. იერარქის გამოყენებით, დამსაქმებელი არ ანიჭებს უპირატესობას კოლექტიური დაცვის საშუალებებს, თუმცა არც პრევენციულად განსაზღვრული ღონისძიებები აქვს გატარებული. ასევე, მიუხედავად იმისა, რომ მაღალი რისკის შემცველი საქმიანობის განახლება უნდა განხორციელდეს 30 დღეში ერთხელ, წარმოდგენილი დოკუმენტით დასტურდება რომ ობიექტზე საფრთხეების იდენტიფიცირება არ ხორციელდება.

ორგანული კანონის მიხედვით, დამსაქმებელი ვალდებულია ობიექტზე დასაქმებულები არჭუროს ეფექტური, აუცილებელი ინდივიდუალური დაცვის

საშუალებებით და განახორციელოს მონიტორინგი მის სწორ გამოყენებაზე. ინსპექტირებისას დასაქმებულები არ იყვნენ აღჭურვილი აუცილებელი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით სპეცფეხსაცმელი, სპეცტანსაცმელი ასევე სამუშაო დანადგარებთან სამუშაოების განხორციელებისას დასაქმებულები არ იყვნენ აღჭურვილი სახის და თვალის დამცავი საშუალებებით, ხმაურმხშობით და რესპირატორით.

საწარმოს არ ყავს დამსაქმებლის მიერ დანიშნული/მოწვეული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელიც აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ორგანული კანონის მიხედვით, დამსაქმებელი ვალდებულია საწარმოს ზომის, დასაქმებულთა რაოდენობის, სამუშაო პირობების, საფრთხის ხარისხის, ხასიათისა და სტრუქტურის და შესაბამისი რისკების გათვალისწინებით, უზრუნველყოს დასაქმებულებისათვის სწავლების (ტრენინგების) და ინსტრუქტაჟის ჩატარება და მათ გასაგებ ენაზე მიაწოდოს ინფორმაცია: შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სამართლებრივი და სხვა ნორმების და უსაფრთხო შრომის პრინციპების შესახებ; სამუშაო პროცედურების, მანქანა-დანადგარების, სამუშაო ტექნიკისა და სამუშაო აღჭურვილობის უსაფრთხო გამოყენებისა და შეკეთების ინსტრუქციებისა და სახელმძღვანელოების შესახებ; საგანგებო სიტუაციების, საევაკუაციო ღონისძიებების და მათი განხორციელების შესახებ; არსებული საფრთხისა და რისკის, აგრეთვე მათი კონტროლის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ. ხოლო ტრენინგების სწავლების ჩატარება უნდა უზრუნველყოს: დასაქმებულების დაქირავებისას, მათ მიერ სამუშაოს შესრულების დაწყებამდე; დასაქმებულთა სხვა სამუშაო ადგილზე გადაყვანისას/სამუშაოს შეცვლისას; ახალი ტექნოლოგიური პროცესისა და სამუშაო მეთოდების დანერგვამდე, ახალი მანქანა-დანადგარების გამოყენების ან/და საწარმოო პროცესის ცვლილების დაწყებამდე; განმეორებით, თავის მიერ განსაზღვრული გეგმის შესაბამისად ან საჭიროების მიხედვით.

რეზინის მომზადების უბნებში არ არის დამონტაჟებული ეფექტური სავენტილაციო და ასპირაციული სისტემები. კანონმდებლობის შესაბამისად დამსაქმებელმა უნდა უზრუნველყოს დაცვისა და კონტროლის სისტემების, საშიში ნივთიერებების შემგროვებელი და გამანეიტრალებელი აღჭურვილობების უწყვეტი და გამართული ფუნქციონირება. როგორც ახლად დამონტაჟებული, ისე რეკონსტრუქციის ან კაპიტალური რემონტის შემდეგ ექსპლუატაციაში შეხული ყველა სავენტილაციო დანადგარი უნდა იყოს გამოცდილი მათი ეფექტურობის განსაზღვრის მიზნით.

დამსაქმებლის მიერ არ განხორციელებულა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პერიოდულობით ფიზიკური ფაქტორების შემოწმება, გაზომვა (მიკროკლიმატის პარამეტრები, ხმაური და ვიბრაცია).

მბრუნავი მექანიზმების, რეზინის ლენტის, რეზინის მომზადების, დამზადების უბანზე არსებულ მანქანა-მოწყობილობებს და ტექნიკურ აღჭურვილობებს არ უტარდება შემოწმება უსაფრთხოდ მუშაობის შესახებ და არ ხდება მისი დოკუმენტირება.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 13 ივლისის №216/ნ ბრძანების „პროფესიული დაავადებების ნუსხისა და იმ პროფესიული საქმიანობის ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ, რომელსაც თან ახლავს პროფესიული დაავადების განვითარების რისკი“ შესაბამისად, აღნიშნული ობიექტის პროფესიული საქმიანობას თან ახლავს პროფესიული დაავადებების რისკები. გამომწვევი მავნე ფაქტორები შეიძლება იყოს რეზინის მტვრისა და ორთქლის მოქმედება და განვითარდეს პროფესიული დაავადება: საწარმოო აეროზოლებით გამოწვეული სუნთქვის ორგანოების პროფესიული პათოლოგია, კერძოდ, რეზინის მტვრით გამოწვეული პნევმოკონიოზი, ასევე, მტვრისმიერი პროფესიული ბრონქიტი. პნევმოკონიოზი მიეკუთვნება პროფესიულ დაავადებებს, კერძოდ, საწარმოო მტვრის ხშირი ჩასუნთქვით გამოწვეულ დაავადებებს. პნევმოკონიოზი ქრონიკული დაავადებაა, რომელიც თანდათანობით ვითარდება. დაავადების მიმდინარეობა დამოკიდებულია შრომის პირობებზე (სამუშაო შენობაში ჰაერის დამტვერიანების ხარისხი და ხანგრძლივობა). თანხლები დაავადებების (განსაკუთრებით სასუნთქი ორგანოებისა და გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებების) არსებობა-არარსებობაზე, ორგანიზმის ინდივიდუალურ მგრძნობელობაზე. პნევმოკონიოზი შეიძლება განვითარდეს ფილტვების ანთებით, ტუბერკულოზით, ქრონიკული ბრონქიტით, ბრონქოექტაზიური დაავადებით. აქედან გამომდინარე დამსაქმებლის მხრიდან არ ხორციელდება პრევენციული ღონისძიებების გატარება შესაძლო პროფესიულ მავნეობებზე. შესაბამისად, ზედამხედველი ორგანოს მიერ მოხდა მწვავე ან ქრონიკული პროფესიულ დაავადებაზე გონივრული ეჭვის მიტანა.

დამსაქმებელი არ უზრუნველყოფს პირველადი სამედიცინო დახმარების უზრუნველსაყოფად აუცილებელ ზომებს, კერძოდ: დამსაქმებლის მიერ არ იქნა წარმოდგენილი პირველადი სამედიცინო დახმარების საშუალებებით აღჭურვილი ყუთი.

არ ხდება დამსაქმებლის ხარჯებით დასაქმებულთა უზრუნველყოფა უბედური შემთხვევის დაზღვევით.

შიდა მარეგულირებელი ნორმებით არ არის განსაზღვრული პირი, რომელიც უფლებამოსილი იქნება ზედამხედველობა გაუწიოს და არ დაუშვას სამუშაოზე ალკოჰოლური, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში მყოფი დასაქმებული.

საწარმოში დასაქმებულებს არ უტარდებათ პირველადი და პერიოდული სამედიცინო შემოწმება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

არ ხდება მანქანა-დანადგარების, ტექნიკური აღჭურვილობების უსაფრთხოების მდგომარეობის შემოწმება და მისი დოკუმენტირება.

დასაქმებულებისათვის არ არის მოწყობილი საყოფაცხოვრებო დანიშნულების ფართები. სანიტარიულ-საყოფაცხოვრებო და დამხმარე სათავსები უნდა აკმაყოფილებდეს დადგენილი სანიტარიულ-ჰიგიენური წესებისა და ნორმების მოთხოვნებს.

*<u>შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევების საფუძველზე გაიცა შემდეგი მითითებები:</u>*

| N | გაცემული მითითება |
|---|---|
| 1 | დამსაქმებელმა დანიშნოს/მოიწვიოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელიც აკმაყოფილებს „შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტირებული პროგრამის მოცულობის, განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის N01/25ნ ბრძანებით დადგენილ მოთხოვნებს;<br>საქართველოს ორგანული კანონი „ შრომის უსაფრთხოების შესახებ"<br>მუხლი 7. პუნქტი, 1,2,3,4,5,6. |
| 2 | საფრთხის შემცველი ფაქტორების ანალიზის საფუძველზე შეიმუშავეთ წერილობითი დოკუმენტი თანმიმდევრული პრევენციული ღონისძიებების პოლიტიკის შესახებ, რომელიც დაფუძნებული იქნება სამუშაო სივრცეში და სამუშაო ადგილებზე საფრთხეების იდენტიფიცირების და რისკის შეფასების მართვის სისტემაზე. კერძოდ:<br>1. გამოავლინეთ საფრთხის შემცველი ფაქტორები;<br>2. გამოავლინეთ ის დასაქმებულები რომლებიც იმყოფებიან საფრთხის ქვეშ;<br>3. შეაფასეთ რისკები და დაგეგმეთ გასატარებელი ღონისძიებები;<br>4. გაატარეთ შესაბამისი ღონისძიებები საფრთხეების აღმოფხვრისა და რისკების შესამცირებლად;<br>5. აწარმოეთ სისტემატიური მონიტორინგი და აკონტროლეთ ნარჩენი რისკები.<br>სამუშაო ადგილზე განსაზღვრეთ დანადგარებიდან და საწარმოო პროცესებიდან მომდინარე საფრთხეები და დანერგეთ რისკის შეფასების სისტემა. საკონტროლო ღონისძიებების განსაზღვრისას გაითვალისწინეთ ადამიანური ფაქტორები.<br>საქართველოს კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ"<br>მუხლი **6**, პუნქტი **1**. „ა,ბ,გ,დ,ე,ვ." ქვეპუნქტები. |
| 3 | დამსაქმებელმა უზრუნველყოს დასაქმებულებისათვის სწავლების (ტრენინგების) და ინსტრუქტაჟის ჩატარება და მათ გასაგებ ენაზე მიაწოდოს ინფორმაცია:<br>✓ შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სამართლებრივი და სხვა ნორმების და უსაფრთხო შრომის პრინციპების შესახებ;<br>✓ სამუშაო პროცედურების, მანქანა დანადგარების, სამუშაო ტექნიკისა და სამუშაო აღჭურვილობის უსაფრთხო გამოყენებისა და შეკეთების ინსტრუქციებისა და სახელმძღვანელოების შესახებ;<br>✓ საგანგებო სიტუაციების, საევაკუაციო ღონისძიებების და მათი განხორციელების შესახებ; |

| | |
|---|---|
| | ✓ არსებული საფრთხისა და რისკის, აგრეთვე მათი კონტროლის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.დასაქმებულების დაქირავებისას, მათ მიერ სამუშაოს შესრულების დაწყებამდე;<br>✓ დასაქმებულთა სხვა სამუშაო ადგილზე გადაყვანისას/სამუშაოს შეცვლისას;<br>✓ ახალი ტექნოლოგიური პროცესისა და სამუშაო მეთოდების დანერგვამდე, ახალი მანქანა დანადგარების გამოყენების ან/და საწარმოო პროცესის ცვლილების დაწყებამდე;<br>✓ მოხდეს მათი დოკუმენტირება და შენახვა სამუშაო ადგილებზე.<br>საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ"<br>მუხლი 5, პუნქტი 2, პუნქტი 3. |
| 4 | დამსაქმებელი და საწარმოს ხელმძღვანელობა უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პერიოდულობით შეამოწმოს, გაზომოს და შეაფასოს საწარმოო გარემოს ფიზიკურ ფაქტორები: (მიკროკლიმატის პარამეტრები, საწარმოო ხმაური, ვიბრაცია,) ასევე დაგეგმოს/დანერგოს და გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები, რათა ზემოთ ხსენებულმა ფაქტორებმა საფრთხე არ შეუქმნას როგორც დასაქმებულებს, ასევე სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.<br>• საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს ბრძანება №297/ნ „გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმების დამტკიცების შესახებ".<br>• საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილება №69 „საწარმოო სათავსების მიკროკლიმატისადმი წაყენებული ჰიგიენური მოთხოვნების დამტკიცების შესახებ".<br>საქართველოს კანონი „ შრომის უსაფრთხოების შესახებ"<br>მუხლი 5, პუნქტი 1. „ზ.ა" ქვეპუნქტები. |
| 5 | საწარმოს სპეციფიკიდან გამომდინარე, უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო პირობების უზრუნველსაყოფად დასაქმებულები აღჭურვეთ აუცილებელი ეფექტიანი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით (სპეცტანსაცმელი, რესპირატორი, ხელთათმანი, სათვალე და სხვა). გააკონტროლეთ მათი სისუფთავე და ტექნიკური გამართულობა. საჭიროების შემთხვევაში დროულად შეცვალეთ და დააწესეთ კონტროლი მათ სწორ გამოყენებაზე.<br>საქართველოს კანონი „ შრომის უსაფრთხოების შესახებ"<br>მუხლი 6, პუნქტი 2. „ ზ „ ქვეპუნქტი ,<br>მუხლი 5, პუნქტი 1. „ვ.ბ" ქვეპუნქტი. |
| 6 | საწარმოს სიდიდის საქმიანობის სფეროს გათვალისწინებით მიიღეთ პირველადი სამედიცინო დახმარების უზრუნველსაყოფად აუცილებელი ზომები.<br>საქართველოს კანონი „ შრომის უსაფრთხოების შესახებ"<br>მუხლი 8. პუნქტი 1. |
| 7 | დამსაქმებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით მუშაობის პერიოდში დასაქმებული უზრუნველყოს უბედური შემთხვევის დაზღვევით.<br>საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ"<br>მუხლი 5, პუნქტი 9. |

| | |
|---|---|
| | |
| 8 | სამუშაოზე დასაქმებულებისათვის მოხდეს კონტროლი ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული საშუალების შესახებ და ამ მიზნით განსაზღვროს პირის რომელიც ზედამხედველობა გაუწიოს აღნიშნულ პროცესს.<br>საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“<br>მუხლი 6, პუნქტი 3, „ი“ ქვეპუნქტი. |
| 9 | საწარმოს სპეციფიკიდან გამომდინარე, უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო პირობების უზრუნველსაყოფად და სამუშაო ადგილზე პროფესიული დაავადებების თავიდან ასაცილებლად დამსაქმებელი ვალდებულია: უზრუნველყოს დასაქმებულისთვის წინასწარი და პერიოდული სამედიცინო შემოწმების ჩატარება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.<br>საქართველოს ორგანული კანონი „ შრომის უსაფრთხოების შესახებ“<br>მუხლი 6, პუნქტი 3. „თ“ ქვეპუნქტი. |
| 10 | შეამოწმეთ მანქანა-დანადგარების, ტექნიკური აღჭურვილობების უსაფრთხოების მდგომარეობა და მოახდინეთ მისი დოკუმენტირება.<br>საქართველოს ორგანული კანონი „ შრომის უსაფრთხოების შესახებ“<br>მუხლი 5, პუნქტი 1. „ ვ.ა „ ქვეპუნქტი. |
| 11 | დამსაქმებელი ვალდებულია გასწიოს სამუშაო სივრცეში სანიტარიულ-ჰიგიენურ ღონისძიებებთან დაკავშირებული ყველა ხარჯი. აბანო-გასახდელებში, საპირფარეშოებში, კვების და შესვენება/დასვენებისთვის გამოყოფილი ადგილებში ჩატარდეს სანიტარიულ-ჰიგიენური და სანიტარიულ-ტექნიკური სარემონტო სამუშაოები.<br>საქართველოს ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“<br>მუხლი 5, პუნქტი 10. |

დარღვევის ახსნა-განმარტება მითითების ვადასთან დაკავშირებით
*(ზედამხედველი ორგანოს მიერ დადგენილი გონივრული ვადა შეიძლება შეთანხმდეს ხელმძღვანელობასთან, რომელსაც ხელს აწერს ორივე მხარე)*

მითითების გამოსასწორებელი ვადა შეადგენს 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღეს.

მითითების გამცემი (თანამდებობა, სახელი, გვარი): შრომის უსაფრთხოებაზე ზედამხედველობის დეპარტამენტის იმერეთის რეგიონალური სამმართველოს მთავარი სპეციალისტი [illegible] (შრომის ინსპექტორი)

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის შრომის უსაფრთხოებაზე ზედამხედველობის დეპარტამენტის იმერეთის რეგიონული სამმართველოს ინსპექტორების

შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის შემოწმების განმახორციელებელი სამსახური ამ გაცემული მითითებით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ ამოწმებს სამართალდამრღვევს, რის შესახებაც დგება შემოწმების აქტი. შემოწმების აქტში აღინიშნება საწარმოს ფაქტობრივი მდგომარეობა მითითების პირობებთან შიშართებით, კერძოდ:

ა) მითითებაშესრულდა.

ბ) მითითებაარშესრულდა.

მითითების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შრომის უსაფრთხოების ნორმების შემოწმების განმახორციელებელი სამსახურის უფლებამოსილი პირი იყენებს შესაბამის ადმინისტრაციულ სახდელს და აღნიშნავს მას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმში.

უფლებამოსილი პირ(ებ)ი

სამართალდამრღვევი